ახალი ხარაგაული

295 (22) 10 აგვისტო, 2015 წ

,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ მორიგი შეხვედრა წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალურმა ცენტრმა“ მოსახლეობასთან მორიგი შეხვედრა წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ წიფასა და ფონაში გამართა. მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრი შეხვედრებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად მართავს. შეხვედაზე ასევე იმყოფებოდნენ გამგებლის წარმომადგენელი წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში მაია გაჩეჩილაძე და სოფლის დეპუტატი ბესიკ ტალახაძე.

მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის დირექტორი, ეკა შავიძე, შეკრებილ მოსახლეობას მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ესაუბრა და ის სოციალური დახმარების პაკეტები გააცნო, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება. მან ასევე ადგილობრივებს ხარაგაულის გამგეობის ცხელი ხაზის სერვისის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც ცენტრის ბაზაზე უკვე რამდენიმე თვეა ამოქმედდა.

მოსახლეობის მხრიდან აღინიშნა რიგი პრობლემები. დღეს ხარაგაულის მაღალმთიანი (და არა მარტო მაღალმთიანი) სოფლების ძირითად პრობლემად ხე-ტყეზე მიუწვდომლობა რჩება. ანალოგიური პრობლემის წინაშეა წიფის მოსახლეობაც. ისინი ასევე ითხოვენ, სოფლის ელექტროგამრიცხველიანებას და უკმაყოფილებას გამოთქვამენ სოციალური დახმარების დანიშვნასთან დაკავშირებით.

შეხვედრაზე შეკრებილ საზოგადოებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილი გაესაუბრა და იმ სიახლეების შესახებ მიაწოდა ინფორმაცია, რომელიც უახლოეს მომავალში წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში იგეგმება. ,,პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ მომავალ წელს აქ იქნება საუკეთესო გზა. ხაშურიდან ამ გზით 15 წუთში იქნებით ფონაში. ეს სოფელს სიცოცხლეს შეჰმატებს. რაც შეეხება სოციალური დახმარების დანიშვნას, ამ კუთხით მართლაც პრობლემაა. კონკრეტულმა პირებმა ეს პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენეს. უთანასწორობის შეგრძნებაც გაჩნდა, მაგრამ პრემიერ-მინისტრის განცხადებით პრობლემები ამ კუთხით უახლოეს მომავალში გამოსწორდება. მინდა გითხრათ, რომ სოფლის დახმარების კუთხით ძალიან ბევრი პროგრამა განხორციელდა. ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ სოფლის გაძლიერებისთვის. მიუხედავად ბიუჯეტის სიმცირისა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბოლო 2 წლის განმავალობაში მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. აშენდა რვა ახალი საბავშვო ბაღი. ზოგიერთ სოფელში დაიგო ასფალტი. ეტაპობრივად გრძელდება შიდა გზების მოწესრიგება. ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დიდი ნაწილი ხარაგაულის ტერიტორიაზეა და, როცა ამ ზონაზე ასფალტი დაიგება ტურისტები ხარაგაულის გავლით გადაადგილდებიან. ეს კი, გარკვეულ შეღავათს მისცემს სოფელში მცხოვრებლებს. მათი ეკონომიური მდგომარეობა გაუმჯობესდება. მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას ის პრობლემები, რასაც ჩვენ ხალხისგან მოვისმენთ, გათვალისწინებული იქნება აუცილებლად. ჩვენ მარტო არჩევნების დროს არ ვხვდებით მოსახლოებას, ჩვენი აქ ყოფნის მიზანია მაქსიმალურად შევამციროთ არსებული პრობლემები. რაც შეეხება ხე-ტყის პრობლემას, გასული წელი იყო ურთულესი, რადგან ბარათების გაცემა ცოტა დაგვიანდა. წელს ეს პრობლემა აღარაა. მუნიციპალიტეტის გამგებელი, კობა ლურსმანაშვილი ყველა შეხვედრაზე აყენებს წინადადებას, რომ მოსახლეობას ჰქონდეს საშეშე მასალის მოპოვების უფლება. მე გპირდებით, რომ უახლოეს მომავალში ეს პრობლემაც იქნება მოგვარებული.“ - აღნიშნა ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა.

შეხვედრას ესწრებოდა ხარაგაულის სატყეო უბნის უფროსი, ვლადიმერ მანჯავიძე, რომელმაც მოსახლეობას ამომწურავი პასუხები მიაწოდა ყველა იმ კითხვაზე, რომელიც მათი მხრიდან ხე-ტყესთან დაკავშირებით დაისვა.

„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მომავალშიც განაგრძობს შეხვედრებს.

მარიანა ბურჯალიანი

საჩუქრები ხარაგაულის ყველა საბავშვო ბაღში დარიგდა

საერთაშორისო ფონდმა „კეთილმა სამარიტელებმა“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით სკოლამდელი ასაკის ბავშვების დასაჩუქრება დაასრულა. პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით განხორციელდა. პირველ ეტაპზე არასამთავრობო ორგანიზაციამ ხარაგაულში N1 და N2 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები დაასაჩუქრა. მეორე ეტაპი კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული ახლად აშენებული და რეაბილიტირებული ბაღების აღსაზრდელების დასაჩუქრებას მოიცავდა. ბორითი, კიცხი, წყალაფორეთი, ვარძია, ხევი, ხუნევი, ვერტყვიჭალა, ლეღვანი, ვახანი და მოლითი - ეს ის სოფლებია, სადაც სკოლამდელი ასაკის ბავშვების დასაჩუქრება მოხდა.

მანანა ბარბაქაძე (ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი): „დღეს ძალიან გაგვახარეს კეთილმა სამარიტელებმა. სამოც ბავშვს გამოუგზავნეს საჩუქრები. თქვენ ხედავთ, როგორი ჟრიამულია ბაღში, როგორი სიხარულით ხსნიან ამ ყუთებს.“

ირმა სებისკვერაძე (სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი): „საჩუქრებით, როგორც აღსაზრდელები, ასევე მშობლები ძალიან კმაყოფილი დარჩნენ. დასაჩუქრდა მუნიციპალიტეტში არსებული მოქმედი ყველა ბაღი. არასამთავრობო ორგანიზაცია „კეთილი სამარიტელები“ მომავალშიც გვპირდება საჩუქრებს“.

თემურ ჩხეიძე (ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე): „კეთილმა სამარიტელებმა“ ხარაგაულში სკოლამდელი ასაკის ბავშვების დასაჩუქრება რამდენიმე ეტაპად განახორციელეს. მათ ხარაგაულის ყველა საბავშვო ბაღი მოიცვეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყუთები გათვლილი იყო, როგორც გოგონებისთვის, ასევე ბიჭებისთვის, ყველა ყუთს ეწერა ასაკი და ამის მიხედვით ხდებოდა მათი გადაცემა. ბავშვების ემოცია იყო ძალზე სასიამოვნო. ისინი ინდივიდუალურად ხსნიდნენ ყუთებს და იყვნენ ძალიან ბედნიერები. იმედი გვაქვს, ეს არასამთავრობო ორგანიზაცია მომავალშიც გაახარებს ჩვენს პატარებს“.

ინგა მაღრაძემ დეპუტატებს საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა

3 აგვისტოს გამართულ საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარემ, ინგა მაღრაძემ, დეპუტატებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. ანგარიშის მოსმენის შემდეგ, საკითხთან დაკავშირებით განცხადებები და შეფასებები დეპუტატებმა, კომისიისა და ფრაქციის თავმჯდომარეებმა გააკეთეს.

,,დღევანდელი საკრებულო ნამდვილად კვალიფიციური დეპუტატებითა დაკომპლექტებული“ - ამბობს ფრაქცია „ქართული ოცნება- მრეწველების“ თავმჯდომარე, ბატონი იუზა კელენჯერიძე და აქვე აღნიშნავს, რომ ,,საკრებულოს და გამგე-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტალი 105,6%-ით შესრულდა

3 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები განიხილეს. სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა 2015 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ ინფორმაცია წარადგინა. ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაციით, ,,2015 წლის შემოსულობების ექვსი თვის გეგმა 105,6% შესრულდა. მუნიციპალიტეტმა ექვსი თვის საკუთარი შემოსავლების გეგმა, კი-121,7 %-ით შეასრულა. რაც შეეხება ხარჯვით ნაწილს, შესრულების პროცესი 95%-ის ფარგლებში ტრიალებს, რაც ბიუჯეტისთვის მისაღებია„-აღნიშნა საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა.

ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულებასთან დაკავშირებით დასკვნა წარადგინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ. ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, ,,ის ხარვეზები, რომლებიც ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით პირველ კვარტალში არსებობდა, მეორე კვარტალში აღმოიფხვრა. თანხები ნამდვილად ეფექტურად დაიხარჯა და რაც დაგეგმილი გვქონდა ბიუჯეტში, შესრულდა.“

დეპუტატებმა მეორე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში ცნობად მიიღეს.

ინგა მაღრაძემ დეპუტატებს საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა

▶1 გვ.

ობის ერთობლივი ძალისხმევით ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. თუმცა გასაკეთებული კიდევ ბევრია. ყველაზე მთავარია, სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით უფრო აქტიურად ვიმუშაოთ.“

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, თორნიკე ავალიშვილმა წარმოდგენილი ანგარიში დაიწუნა და განაცხადა, რომ საკრებულოს მოხსენებაში მხოლოდ გაკეთებულ საქმეებზე კი არ უნდა იყოს აქცენტი, არამედ უნდა გამახვილდეს ყურადღება იმ პრობლემებზე, რომლის წინაშეც ვდგავართ“.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ვარლამ ჭიპაშვილს მიაჩნია, რომ ის რაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში კეთდება თანაბარი წილია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების. ,,მისასალმებელია, რომ ჩვენ ძალიან ხშირად ვკამათობთ, ვმსჯელობთ და სწორედ ამით მივდივართ ჭეშმარიტებამდე. ჩვენ ვეცადეთ, რომ ყველა დეპუტატის მოთხოვნა დაკმაყოფილებულიყო, თუმცა პირველ ეტაპზე უფრო მტკივნეული საკითხები წამოვწიეთ“ - განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, გივი თხელიძის ინფორმაციით, „აბსოლუტურად ნორმალურია საკრებულოში მიმდინარე მსჯელობა და კამათი. ჩვენ ვიცით, რომ ნამდვილად არ არის ქვეყანაში სოციალური ფონი მოწესრიგებული, თუმცა არც საგანგაშო მდგომარეობა შეინიშნება. ჩვენ შეძლებისდაგვარად ვუმსუბუქებთ ხალხს იმ ტვირთს, რომელიც მათ აქვთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები კი ნელ-ნელა იხვეწება და ლაგდება. რა თქმა უნდა, ერთად ყველა პრობლემა ვერ გადაიჭრება.“

„უნდა ვიყოთ თვითკრიტიკულები და ის, რასაც მოსახლეობას წინასაარჩევნოდ დავპირდით, ყველაფერი უნდა შევასრულოთ. ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში 12 დაპირებული პროექტიდან, ჯერჯერობით 6 შევასრულეთ. დარჩენილ პროექტებსაც, ეტაპობრივად განვახორციელებთ“ - აღნიშნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, მანანა ბარბაქაძემ.

ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარემ, გელა გოლუბიანმა განაცხადა: „ხალხის შეფასებაა მთავარი. ხალხი ნამდვილად არაა კმაყოფილი. ჩვენ ვერ ვიყენებთ საკუთარ უფლებამოსილებებს სათანადოდ. უფრო მეტი მუშაობაა საჭირო.“

შალვა ლურსმანაშვილი - ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: „ჩვენ საკმარისი დრო გვაქვს იმისთვის, რომ პრობლემებზე ვიმსჯელოთ და შეძლებისდაგვარად აღმოვფხვრათ. რაც შეეხება სამომავლო პროექტებს, 2016 წლისთვის მე მაქვს დაგეგმილი ერთი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს ეკონომიკურ აქტიურობას და იმედი მაქვს ამას განვახორციელებთ.“

ლაშის მაჟორიტარმა დეპუტატმა დემურ კალანდაძემ ბიუჯეტის დაგეგმარების შეცდომაზე ისაუბრა. „ბიუჯეტში არ იყო ყველა ადმინისტრაციული ერთეულის პრიორიტეტული საკითხი გათვალისწინებული. ეს არ უნდა დავუშვათ მომავალში.“

საკრებულოს წევრმა ბატონმა გოგი ლაცაბიძემ კრიტიკული შეფასება გააკეთა როგორც საკუთარი, ისე საკრებულოს მიერ გაწეულ საქმიანობაზე: „თანხების გამოყოფა შესაბამისად არ ხდება. ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებითაც პრობლემებია. მე გასულ წელს შემოგთავაზეთ, რომ ყველა შემოსული წერილი დაგვეხარისხებინა, მაგრამ ამას არ მიექცა ყურადღება. ახალი ბიუჯეტის შემუშავებისას მაინც განვსაზღვროთ რომელ სოფელს რა პრობლემა აქვს და კონკრეტული პრობლემებისკენ მივმართოთ თანხები„- განაცხადა გოგი ლაცაბიძემ.

ხარაგაულის მუნიციალიტეტის საკრებულოს ანგარიში იხილეთ ,,ახალი ხარაგაულის“ დღევანდელ ნომერში. (გვ-4).

მარიანა ბურჯალიანი

,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში" წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა

,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე წელს წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში 27 000 ლარი გამოიყო. აღნიშნული თანხით სოფელში ის ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა, რომლებიც სოფლის კრებებზე მოსახლეობამ თავად აირჩია. ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში“ წიფასა და გოლათუბანში დასრულდა სარიტუალო სახლის მშენებლობა. სოფელ ფონაში აშენდა სოფლის სახლი. მოხდა შიდა საუბნო გზების შეკეთება გოლათუბანსა და გუდათუბანში. ასევე შეძენილ იქნა წყლის მიღები სოფელ გოლათუბნის მოსახლეობისთვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, რაც წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში გაკეთდა, ეს არის ამბულატორიის შენობა. აქ წლების განმავლობაში მოსახლეობას ჯანდაცვაზე ხელი არ მიუწვდებოდა. ახლა კი ყოველდღე მათ უბნის ექიმი და ექთანი ემსახურება.

სოფელ გოლათუბანში ახლად აშენებული სარიტუალო დარბაზი

სოფელ წიფაში ახლად აშენებული სარიტუალო დარბაზი

წიფის მაჟორიტარი დეპუტატის ბესიკ ტალახაძის თქმით, ბოლო ორი წლის განმავლობაში სოფლისათვის მეტად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. გასაკეთებელი კიდევ ბევრია, რა თქმა უნდა ყველაფერი ერთად ვერ გაკეთდება. მე და ჩემი გუნდი განვაგრძობთ ერთობლივ მუშაობას და ის პრობლემები, რომლებიც წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობას აწუხებს ეტაპობრივად მოგვარდება.

წიფის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის, მაია გაგოშიძის ინფორმაციით, სოფელში ეტაპობრივად ბევრი პრობლემა გვარდება. მნიშვნელოვანია ის, რომ „სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში პროექტების განსახორციელებლად პრიორიტეტები მოსახლეობის ჩართულობით და მათი უშუალო გადაწყვეტილებით ხორციელდება. წიფაში ბევრი კარგი პროექტი განხორციელდა. სარიტუალო სახლებიც გვჭირდებოდა, ამბულატორიაც, რამდენიმე ინფრასტრუქტურული პროექტიც განხორციელდა. მთავარია მოსახლეობა იყოს კმაყოფილი“.

საჯიგებიროს სხდომაზე დეპუტატებმა საბიუჯეტო ცვლილების შესახებ იმსჯელეს

საკრებულოს სხდომაზე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №53 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე იმსჯელეს. საბიუჯეტო ცვლილება 2015 წლის მაისის თვეში საქართველოს სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ „ა(ა)იპ ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში“ შემავალი ბაღების შემოწმების შედეგად აღმოჩენილმა დარღვევებმა განაპირობა. N1, N2 და მოლითის საბავშვო ბაღში სამზარეულო და სველი წერტილებია მოსაწესრიგებელი. პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ბაღები ახალ სასწავლო წელს ვერ დაიწყებენ. საბიუჯეტო ცვლილებას მხარი დაუჭირა საფინანსო–საბიუჯეტო კომისიამ. როგორც კომისიის თავჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა, აღნიშნა, საჭირო თანხა გზების მშენებლობის, მისი მოვლა–შენახვის, სოფლის მეურნეობისა და სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებელი ხარჯებიდან დაიზოგება, ჯამში 63,0 ათასი ლარი.

საკრებულოს სხომაზე კენჭი ეყარა ასევე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სახელით სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად გამარტივებული წესით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით გამგებლისათვის თანხმობის მიცემას. იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, მიხეილ გელაშვილმა, განაცხადა, რომ გამარტივებული წესით, ერთ პირთან მოლაპარაკება სამართლებრივად გამართლებულია. საკრებულოს წევრების აზრთა სხვადასხვაობის გამო იურიდიული კომისიის სხდომაზე აღნიშნეს, რომ უმჯობესი იქნება, თუ გამარტივებული წესით ერთ პირთან მოლაპარაკებას პრაქტიკიდან ამოიღებენ. საკრებულოს სხდომაზე დეპუტატების მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას დაევალოს - გააკეთოს მოხსენება, თუ რამდენად ეფექტურადაა შესრულებული საკრებულოს მიერ მიღებული განკარგულების საფუძველზე გამარტივებული წესით, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, განხორციელებული სამუშაოები. სხდომაზე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას დაევალა, შეისწავლოს, რამდენად მიზანმიმართულადაა დახარჯული სოციალური პროგრამიდან სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად გამოყოფილი თანხები.

თამარ მაღრაძე

ქართული ოცნება ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარედ ხარაგაულში თიკო ლურსმანაშვილი დაინიშნა

ქართული ოცნების ახალგაზრდულ ფრთას ხარაგაულში ახალი თავმჯდომარე ჰყავს. თიკო ლურსმანაშვილი ხარაგაულელია. იგი 1995 წლის 25 თებერვალს დაიბადა. 2013 წელს დაამთავრა ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზია და ამავე წელს სწავლა განაგრძო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ფილოლოგიის განხრით. თიკო წარმატებული მომღერალი და მრავალი კონკურსის გამარჯვებულია. უკრაინის ქალაქ ვინიცაში გამართულ სიმღერის კონკურსზე კი მეორე საპრიზო ადგილი აქვს მიღებული. სხვადასხვა დროს იგი სატელევიზიო კონკურსებშიც მონაწილეობდა. აქვს ლაურეატის წოდება.

თიკო აქტიური ახალგაზრდაა. მას საკმაოდ კარგი ურთიერთობები აქვს ხარაგაულელებთან. სამომავლოდ ქართული ოცნება ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარეს არაერთი აქტივობის და პროექტის განხორციელება აქვს დაგეგმილი.

წარმატებებს ვუსურვებთ თიკო ლურსმანაშვილს მომავალ საქმიანობაში.

„ბედნიერია ხარაგაული, რომ ასეთი თეატრი არსებობს და ჰყავს იზა ვეფხვაძე“

31 ივლისს მესტიაში მესტიის მუნიციპალიტეტის მიწვევით რეზო თაბუკაშვილის სახელობის სახალხო ლიტერატურულმა თეატრმა ლეგენდარული მთამსვლელების - ალექსანდრა, სიმონ და ალიოშა ჯაფარიძეებისადმი მიძღვნილი სპექტაკლი "მთების ბალადა" გამართა...

სვანეთის მუზეუმის დარბაზში სპექტაკლი, რომელიც ხარაგაულის რეზო თაბუკაშვილის სახელობის თეატრის დამაარსებლის, სცენარისტისა და მსახიობის იზა ვეფხვაძის მიერაა დადგმული, მაყურებელთა ემოციების გამო რამდენჯერმე შეწყდა, რადგან საზოგადოება ფეხზე წამოდგომითა და მქუხარე აპლოდისმენტებით მადლიერებას გამოხატავდა ამ არაჩვეულებრივი ქალბატონის მიმართ, რომელიც ლეგენდარული მთამსვლელების ისტორიას, რაღაც საოცარი, ღვთიური ძალმოსილებით აცნობდა მსმენელს.

დარბაზი სხვადასხვა თაობის მაყურებლით იყო გადაჭედილი. ჩემი და ჩემზე უფროსი თაობისათვის ამ ლეგენდარული და-ძმების ისტორია არ იყო უცნობი, მაგრამ ასეთი რაკურსით, ემოციით გადმოცემულმა, ცრემლი მომგვარა, რაც მთელი სპექტაკლის განმავლობაში გრძელდებოდა. ბედნიერი ვიყავი, როცა ჩემი თოთხმეტი წლის ძმისშვილს სახეზე იგივე ემოცია შევნიშნე, რადგან კარგად ვიცით, რომ ამ თაობას განსხვავებული ინტერესები და გემოვნება აქვს. ჩვენ გამონაკლისები როდი ვიყავით, მთელი დარბაზი დამუხტული იყო ამ საოცარი სანახაობით.

სპექტაკლის შემდეგ სვანმა მაყურებელმა გულწრფელად აღიარა იზა ვეფხვაძის უდავო ნიჭი და ქართველქალობა.

... ძალიან ხშირად ვმადლობ უფალს ამქვეყნად მოვლინებისთვის, რომ მაზიარა სიცოცხლეს, სიყვარულს, სილამაზეს... იმ საღამოს კიდევ ერთხელ აღვავლინე მადლობა უფლის მიმართ. კვლავ იმდღევანდელი ემოციის ტყვეობაში ვარ. მე მოვიძიე და მოვისმინე სხვა სპექტაკლთა ჩანაწერები და გადავწყვიტე, მიუხედავად იმისა, რომ უცხო ენის პედაგოგი ვარ, ჩემს მოსწავლეებს მოვასმენინო და გავუძლიერო ქართული სული, რათა ამ სპექტაკლებით უფრო ღრმად გაიცნონ და დაიმახსოვრონ, ვინ იყვნენ მოყვასისათვის შეწირულები, ვინ იყვნენ გოდერძი ჩოხელი, რეზო თაბუკაშვილი, მერაბ კოსტავა.... ვინ არის დეკანოზი თავმასი ჩოხელი, რომლის ლექსებზე დაწერილ სიმღერებს მღერიან მთელს საქართველოში და რატომ გვაკავშირებს მრავალსაუკუნოვანი ძმობა ებრაელ ხალხთან .

ბედნიერია ხარაგაული, რომ ასეთი თეატრი არსებობს და ჰყავს იზა ვეფხვაძე, ქალი, რომელიც სულით და გულით ქართველია, რომელიც იმ ქართველი ქალების გენის მატარებელია, ქართველობა რომ შეინარჩუნეს და აქამდე შემოგვინახეს ისტორია ჩვენი ქართლის ცხოვრებისა!

ქალბატონო იზა! მადლობას გიხდით ყველა იმ ადამიანის სახელით, ვინც 31 ივლისს სვანეთის მუზეუმის დარბაზში თქვენს ,,მთების ბალადას "ეზიარა. უფალმა გინინამძღვროთ თქვენ მიერ არჩეულ პატრიოტულ გზებზე!

პედაგოგი ლალი მარგიანი. მესტია

ხარაგაულში C ჰეპატიტთან ბრძოლის აქცია გაიმართა

28 ივლისს C ჰეპატიტთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ერთობლივი აქცია დაიწყო და იგი 7 აგვისტოს დასრულდება. C ჰეპატიტის უფასო სკრინინგი საქართველოში ორი კვირით გაგრძელდება. აღნიშნული აქციის ფარგლებში 4 აგვისტოს ხარაგაულში დაავადებათა კონტროლის იმერეთის სამმართველოსა და ხარაგაულის ჯანდაცვის ცენტრის ინიციატივით C ჰეპატიტზე უფასო ტესტირება სწრაფი - მარტივი მეთოდით ჩატარდა.

ხარაგაულში C ჰეპატიტის გამოკვლევის აქციაში მოსახლეობის საკმაოდ მაღალი აქტივობა დაფიქსირდა. ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს ზონალურმა ლაბორატორიამ სულ 183 ხარაგაულელს გაუწია მომსახურება.

რამაზ ურუშაძე - დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეგიონალური მართვის დეპარტამენტის უფროსი:

„დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინიციატვით დამატებითი კვლევების ანუ ტესტირების ჩატარება საქართველოს ყველა რეგიონში დაიგეგმა, რომელიც ყველა ძირითად რეგიონში 10 დღის განმავლობაში ტარდება. მოსახლეობის უმრავლესობა გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოახერხებდა ქუთაისში ჩამოსვლას, ამიტომ გადავწყიტეთ მსგავსი კვლევის სხვადასხვა რაიონში ჩატარება. მსგავს ღონისძიებებთან დაკავშირებით ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათ მოგვმართეს, რომ აქცია ხარაგაულში ჩატარებულიყო.“

გოჩა გიორგიძე - დაავადებათა კონტროლის იმერეთის სამმართველოს უფროსი:

„ხარაგაულში მოსახლეობის აქტიურობა C ჰეპატიტის სკრინინგთან დაკავშირებით მაღალია. მოსახლეობა დაინტერესებულია ჰეპატიტთან დაკავშირებული პრობლემებით. ეს პროგრამა ერთგვარი დახმარებაა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამისა, რომელიც შემდგომ ითვალისწინებს უფასო მკურნალობას. ყველას, ვისაც აღმოაჩნდება C ჰეპატიტი, მიეცემათ სამახსოვრო ბუკლეტები, შესაბამისი რჩევა-დარიგებები, თუ როგორ უნდა იმოქმოდოს, რომ ჩაერთოს სახელმწიფო პროგრამაში, რათა გაიაროს უფასო მკურნალობის კურსი.“

შორენა ჭყოიძე - მოქალაქე:

„მივესალმები C ჰეპატიტის გამოკვლევას, მნიშვნელოვანია მსგავსი ღონისძიებების ჩატარება, რადგან საჭიროა ახალგაზრდების გამოკვლევა. პირველ რიგში მაინტერესებდა ჩემი შვილის ჯანმრთელობა და ამავდროულად საკუთარი თავიც გადამემოწმებინა. მოხარული ვარ, რადგან ანალიზების პასუხმა უარყოფითი შედეგი აჩვენა და აღმოჩნდა, რომ ორივენი ჯანმრთელები ვართ. თუ ხშირად განმეორდება მსგავსი ხასიათის გამოკვლევები, ეს ნამდვილად მისასალმებელი იქნება.“

თამარ მაღრაძე

„მომავალი ოლიმპიელები“

საზოგადოებასთან აქტიური შემოქმედებითი ურთიერთობით იკვეთება ხარაგაულის ცენტრალური ბიბლიოთეკის პატარა ხარაგაულის განყოფილების ყოველდღიური მუშაობა (წამყვანი სპეციალისტი გ. ჭარბაძე, სპეციალისტი ქ. შარიქაძე).

რამდენიმე დღის წინ ბიბლიოთეკამ N2 ბაგა-ბაღის აღსაზრდელ-აღზრდილები გაახარა, როცა ძალზე ორიგინალურად ჩაფიქრებული ღონისძიება „მომავალი ოლიმპიელები“ შესთავაზა მათ და დამსწრე საზოგადოებას. ღონისძიების ძირითადი ბირთვი საბავშვო ბაგა-ბაღის შერეული ჯგუფი იყო (პედაგოგი ნ.მაღრაძე).

დანიშნული დროისათვის ბაღის ულამაზესი ეზო და შემოგარენი მხიარულმა ყიჟინამ მოიცვა. მალე პატარებმა თავიანთი „ოსტატობა“ გამოავლინეს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. შეირჩა ჟიური (რ.შავიძე, ხ.ლურსმანაშვილი, ქ.კერესელიძე). ასპარეზობაში ორი გუნდი - „მერცხალი“ და „ცისარტყელა“ ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

ყველა სახეობაში გამოვლინდნენ გამარჯვებულები და დაჯილდოვდნენ სიგელებითა და საჩუქრებით: ო. ბურჯანაძე, დ. მესხი, ს. გლუნჩაძე , თ. ლომსაძე, მ. გლუნჩაძე და სხვები.

ძალზე საინტერესო იყო ღონისძიების მეორე ეტაპი. ამჯერად შეჯიბრი გაიმართა მკლავჭიდში, რომელშიც მონაწილეობდნენ N 2 ბაგა-ბაღის აღზრდილები: ლ. ნიკოლაძე, დ. გურგენიძე, ს. ნიქაბაძე, ე. შველიძე, გვ.მაღლაფერიძე და სხვები. მათი წარმატებაც შესატყვისი ჯილდო-სიგელებით აღინიშნა.

ყველა ძალიან გაახარა საპატიო ხარაგაულელის, პოეტ ლინა ბარათაშვილის სტუმრობამ. „გიყურებთ და აღფრთოვანებას ვერ ვმალავ. ხარაგაული და ხარაგაულელები ჩემი სულის განუშორებელი ნაწილი და შთაგონების წყაროა. ვხარობ, როცა ვხედავ თუ როგორი ჯანსაღი მომავალი თაობა ეზრდება ხარაგაულს. მადლობა ამ ლამაზი წუთების ყველა მონაწილეს, ოგანიზატორებს. გეფერებით ყველას. დაე, არასდროს მოგაკლდეთ უფლის მადლი.

ქალბატონმა ლინამ ღონისძიების ყველა მონაწილეს თავისი პოეტური კრებული უსახსოვრა და სამომავლო წარმატებები უსურვა.

ქალბატონმა მერი გიორგიძემ ხაზი გაუსვა იმ საპატიო მისიას, რომელსაც ასეთ მაღალ დონეზე ახორციელებს პატარა ხარაგაულის ბიბლიოთეკა. „მე ამ ბიბლიოთეკის თაოსნობით მოწყობილი არაერთი ღონისძიების მონაწილე ვარ. ვხედავ როგორი დიდი ენთუზიაზმით იბრძვის ამ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელობა მოსახლეობის წიგნიერების დონის ამაღლებისათვის. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხანდაზმულებს, რომელთაც უჭირთ გადაადგილება ქალბატონები გ. ჭარბაძე და ქ. შარიქაძე შინ აწვდიან საჭიროსაინტერესო ლიტერატურას.

ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორმა, ბატონმა ნიკოლოზ მაჭავარიანმა, სათანადოდ შეაფასა ეს ლამაზი ღონისძიება. მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკისა და N2 ბაგა-ბაღის კოლექტივს ურთიერთთანამშრომლობისა და ბავშვების უნარ-შესაძლებლობათა ასეთ დონეზე წარმოჩენისათვის.

ვინ იცის, იქნებ სწორედ აქედან დაიწყოს ის ათვლის წერტილი, რომლიდანაც მომავალ დიდ ოლიმპიადებზე წარსდგებიან დღევანდელი ჩვენი „ოლიმპიელები“.

მარიანა გურჯალიანი

ხარაგაულის ორგანიზაციებს შორის მინი ფეხბურთის ჩემპიონატი დასრულდა

6 აგვისტოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ინიციატივით ორგანიზაციებს შორის მინი ფეხბურთის ჩემპიონატი დასრულდა. ფინალში ორი გუნდი - სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი და ხარაგაულდასუფთავება გავიდა. ფინალურ თამაშში სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურმა ცენტრმა 4:1 დაამაცხა მოწინააღმდეგე და გაიმარჯვა. ფინალისტს და გამარჯვებულს თასები გადაეცათ. გამარჯვებული გამოვლინდა, ასევე სხვადასხვა ნომინაციებში. საუკეთესო თავდამსხმელი გახდა ივანე ბანცაძე, ყველზე ასაკოვანი ფეხბურთელი – გოჩა გელაშვილი, ხოლო საუკეთესო მეკარის ტიტული გოჩა ბუაჩიძემ მოიპოვა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიწის ნორმატიული ფასები დააღგინა

3 აგვისტოს გამართულ საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ იმსჯელეს. აღნიშნულმა საკითხმა საკრებულოს წევრებს შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ (თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი) დეპუტატებს შემდეგი რეკომენდაცია შესთავაზა: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლები, რომლებიც საკურორტო ზონა არ არის და არც საერთაშორისო თუ სახელმწიფო მნიშვნელობის საავტომობილო გზასთანაა ახლოს, დადგენილი ნორმატიული ფასი, რომელიც წარმოადგენს დაბა ხარაგაულისთვის განსაზღვრული ნორმატიული ფასის 40% შეიცვალოს

30%-ით და განისაზღვროს 2.13 ლარით. სხდომაზე კენჭი უყარეს როგორც პირვანდელ, ისე შეთავაზებულ ვარიანტს. საბოლოოდ კი, დეპუტატებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ შესწორებული პროექტი მიიღეს. დადგენილების მიხედვით, მიწის ფასი დაბა ხარაგაულისათვის 7 ლარითა და 10 თეთრით განისაზღვრა, ხოლო მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის 2 ლარითა და 13 თეთრით. დეპუტატებმა ასევე იმსჯელეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ ცვლილების შეტანის თაობაზე.

ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, კახა გოლუბიანის ინფორმაციით, რადგან 21 ივლისიდან ღორეშისა და ხევის საზოგადოებრივი ცენტრები გადავიდნენ იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში, 4 საშტატო ადგილი გამოთავისუფლდა. სოფელ ლეღვანში ერთი საშტატო ერთეულის დამატებას ითხოვენ. ასევე ცვლილება მოხდება ადმინისტრაციული სამსახურის კოორდინაციის განყოფილებაში. კიცხში, ლეღვანსა და დაბაში მთავარი სპეციალისტის თანამდებობა დაემატება, ხოლო მოლითში და ვახანში – წამყვანი სპეციალისტის. ბორითში და ბაზალეთში უფროსი სპეციალისტის თანამდებობა, წამყვან სპეციალისტად გადაკეთდება. ცვლილება შეეხო ასევე ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურში უფროს სპეციალისტს, რომელიც მთავარი სპეციალისის თანამდებობას შეითავსებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხს რამდენიმე მოწინააღმდეგე ჰყავდა, კენჭისყრაზე მაინც გავიდა და დადებითად გადაწყდა.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ

პატივცემულო კოლეგებო, ძვირფასო ამომრჩევლებო!

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც 2014 წლის მოწვევის თვითმმართველობა საქმიანობას შეუდგა. თვითმმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი გახლავთ ანგარიშვალდებულება ამომრჩევლის წინაშე, იმ ადამიანების წინაშე ვინც მოგვცა მანდატი და ლეგიტიმაცია საქმიანობის განსახორციელებლად.

ჩვენი მიზანია მოსახლეობის წინაშე წავრსდგეთ გაწეული მუშაობის ანგარიშით, მოვისმინოთ მათი შეფასებები, გავაანალიზოთ ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მისი შედეგები, გავაცნობიეროთ ჩვენს წინაშე არსებული გამოწვევები. ველოდებით, რომ იქნება ბევრი საქმიანი წინადადება და შენიშვნა, რომელიც მოგვცემს საშუალებას უკეთ დავგეგმოთ ჩვენი მომავალი საქმიანობა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებით“. რომლითაც დადგენილია მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილება და რომელსაც ჩვენ ვანხორციელებდით დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. ასევე ვიყენებდით ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონს , საქართველოს კანონს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ კოდექსს“ , ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულებას (რეგლამენტს) და საქმიანობიდან გამომდინარე სხვადასხვა კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს.

საკრებულოს პირველივე სხდომაზე 2014 წლის 14 ივლისს საკრებულოს მიერ კოდექსით განსაზღვრულ ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში მიღებული იქნა გადაწყვეტილებები: კერძოდ საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ, რეგისტრაციაში გატარდა და დაფუძნდა საკრებულოს 6 ფრაქცია, რომელთაგან ერთი, მოგვიანებით გაუქმდა, მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, გამგეობის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით შეიქმნა 5 მუდმივმოქმედი კომისია და დამტკიცდა მათი დებულებები ასევე დამტკიცდა მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულება, განისაზღვრა გამგეობის სტრუქტურა და საშტატო ნუსხა, შეიქმნა 20 ადმინისტრაციული ერთეული.

მომდევნო სხდომაზე კი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომლითაც განისაზღვრა მათი უფლებამოსილებები.

ასევე დამტკიცებული იქნა საკრებულოს აპარატის დებულება და საშტატო ნუსხა.

ორგანიზაციული საქმიანობის სფეროში საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის რეგულირებისა და კონტროლის განხორციელების მიზნით საკრებულოს მიერ პერიოდულად ხდებოდა გამგეობის სამსახურების ანგარიშების მოსმენა, განხილვა და შეფასება. წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით საკრებულოს მიერ ყველა მათგანის საქმიანობა დადებითად იქნა შეფასებული, საკრებულომ ასევე მოისმინა საკრებულოს მუდმივი კომისიების ანგარიშები და მათი საქმიანობაც შეფასდა დადებითად.

მუნიციპალიტეტის საკრებულო საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესით განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის განხილვასა და დამტკიცებას, ასევე დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანას, ბიუჯეტის შესრულების კონტროლს და ბიუჯეტის შესრულების შეფასებას. ამ მიზნით საკრებულოს წევრთა 1/3 მოთხოვნით მოწვეული იქნა დამოუკიდებელი აუდიტი, რომლის მიერ წარმოდგენილი დასკვნა განხილული იქნა გამგებლის მიერ წარმოდგენილ ანგარიშთან ერთად და საკრებულოს მიერ დამტკიცდა 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. აუდიტის მიერ დასკვნაში მითითებულ ნაკლოვანებებზე რეაგირება დაევალა საფინანსო სამსახურს. მოქალაქეთა ჩართულობისა და მეტი აქტიურობის მიზნით საკრებულოს მიერ საჯაროდ იქნა გამოქვეყნებული ადგილობრივ საინფორმაციო საშუალებებში, როგორც გამგეობის ანგარიში ასევე აუდიტის დასკვნა.

საკრებულოს საქმიანობის საფინანსო-საბიუჯეტო სფეროს მოთხოვნებს განეკუთნება აგრეთვე ადგილობივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება. საკრებულომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი ნორმატიული დოკუმენტი ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების თაობაზე უკვე დაამტკიცა, თუმცა მიუხედავად არაერთი წერილობითი მოთხოვნისა გამგეობის მიერ დღემდე არ არის წარმოდგენილი რიგი ნორმატიული აქტების პროექტები, რომლებიც მოსაყვანია საქართველოს ორგანულ კანონთან ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსთან“. რითაც ირღვევა აღნიშნული კანონის 165 -ე მუხლის მე -4 პუნქტის მოთხოვნები, რომლითაც მუნიციპალიტეტების საკრებულოებს დაევალათ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან 6 თვის ვადაში უნდა უზრუნველყონ თავიანთი ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

საკრებულომ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული უფლრბამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის კუთხით საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად უზრუნველყო მუნიციპალიტეტის ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და ქირის საწყისი საფასურის დადგენა; 3 აგვისტოს სხდომაზე ასევე მომზადებულია და განიხილება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საანგარიშო პერიოდში 2014 წლის 14 ივლისიდან დღემდე ანუ 2015 წლის 6 ივლისამდე ჩატარებულია საკრებულოს ბიუროს 41 სხდომა და საკრებულოს 36 სხდომა. ამ პერიოდში დადგენილი განრიგის შესაბამისად ტარდებოდა საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციის სხდომები.

საანგარიშო პერიოდში საკრებულოს მიერ მიღებული იქნა 197 სამართლებრივი აქტი მათ შორის 124 განკარგულება და 73 დადგენილება. სხვადასხვა საკითხებზე გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის 251 ბრძანება, ამავე პერიოდში საკრებულოში შემოსულია 863 წერილობითი დოკუმენტი მათ შორის 372 მოქალაქის განცხადება საჩივარი და 491 მომართვა სხვადასხა დაწესებულებებისაგან.

შემოსული კორესპოდენციები რეაგირებულია კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

საკრებულო, განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდება მოქალაქეთა განცხადებებს - საჩივრებში დასმული საკითხების რაგირების საქმეს, დოკუმენტაციის აღრიცხვის, რეგისტრაციის და ადრესატამდე მიტანის, შემდეგ კი შესრულების შედეგების დადგენისა და წერილობით დოკუმენტზე დროული რეაგირების საქმეში ანალიზისათვის 2014 წელს სექტემბრის თვეში ბიურომ მოისმინა საკრებულოს აპარატის საქმის წარმოების საკითხებში მთავარი სპეციალისტის მარინა კვინიკაძის ინფორმაცია. აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტის გამგეობასთან თანამშრომლობით ბევრი საკითხი დადებითად იქნა გადაწყვეტილი, თუმცა არსებობს ცალკეული პრობლემები, კერძოდ მოქალაქეთა მომართვები ერთჯერადი ფინანსური დახმარებისა და განმეორებითი გადამოწმების მოთხოვნათა თაობაზე,რომელთა დადებითად გადაწყვეტაც სამწუხაროდ ხშირ შემთხვევებში ვერ ხერხდებოდა. საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახდენს საკრებულოს აპარატი, საკრებულოს აპარატი 2014 წელს ფუნქციონირებდა 5 საშტატო ერთეულით ხოლო მიმდინარე წლის 5 იანვრიდან აპარატს დაემატა 2 საშტატო ერთეული, რომელიც დღემდე ვაკანტურია.

საკრებულოს აპარატი თავის საქმიანობას წარმართავს აპარატის დებულებით ასევე აპარატში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს განსაზღვრული აქვს საქმიანობის სფერო და სამსახურებრივი ინსტრუქციების შესაბამისად ახორციელებენ თავიანთ უფლებამოსილებებს.

აპარატი მისი უფლებამოსილების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ცდილობდა უზრუნველეყო საკრებულოს ეფექტური საქმიანობისათვის ნორმალური პირობების შექმნა, ყურადღებით ეპყრობოდა საკრებულოს ნებისმიერი წევრის, კომისიისა თუ ფრაქციის მიერ დასმული საკითხის გადაწყვეტას მისი კომპეტენციის ფარგლებში, დროულად აწვდიდა ინფორმაციას საკრებულოს საქმიანობის შესახებ მუნიციპალიტეტში მოქმედ საინფორმაციო საშუალებებს, კანონით დადგენილ ვადაში ახდენდა საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტების გამოქვეყნებას ადგილობრივ გაზეთში და ასევე კანონით დადგენილ ვადებში ახდენდა ნორმატიული აქტების გადაგზავნას იუსტიციის სამინისტროს საგამომცემლო ორგანოში რეგიტსრაციისათვის. საანგარიშო პერიოდში 2014 წლის 14 ივლისიდან 6 ივლისის ჩათვლით მომზადებული იქნა 124 განკარგულებისა და 73 დადგენილების პროექტი. ამავე პერიოდში გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის 251 ბრძანება და ასეულობით წერილის პროექტი.

გაცნობიერებული გვაქვს, რა საკრებულოს მიერ მიღებული ნებისმიერი სამართლებრივი აქტის კანონთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა, აპარატი ცდილობდა საკრებულოს მიერ მიღებული ყველა სამართლებრივი აქტი ყოფილიყო კანონთან შესაბამისობაში. ამ მიზნით მას სამართლებრივ ექსპერტიზას უტარებდა აპარატის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ზაალ ორბელაძე. აღსანიშნავია აპარატის ერთობლივი და კვალიფიციური შრომის შედეგია, რომ არცერთ ჩვენს მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტზე სამართლებრივი შენიშვნა არ მიგვიღია.

საკრებულო განსაკუთრებულ ყურადრებას უთმობდა მოქალაქეთა მიერ, ასევე სხვადასხვა იურიდიული , ფიზიკური თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირების მდგომარეობას. საანგარიშო პერიოდში შემოსულია 80 - მდე წერილობითი მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, ყველა მათგანი რეაგირებულია კანონით დადგენილ ვადაში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევა არ დაფიქსირებულა, რის შესახებაც ასევე კანონით დადგენილი ნორმის საფუძველზე ანგარიში წარედგინა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტს და პრემიერ მინისტრს.

ჩვენ საქმიანობა მოგვიწია განახლებული თვითმმართველობის კოდექსით. კოდექსი რომელიც კვლავ დამუშავების პროცესშია და უახლოეს მომავალში ველოდებით საკანონმდებლო ცვლილებებს. დღეს მოქმედი კოდექსის საფუძველზე მკაფიოდაა გამიჯნული საკუთარი უფლებამოსილებები აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის. ძირითადი საზედამხედველო და მაკონტროლებელი ფუნქცია რომელიც საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთნება, საკრებულოს წევრების მხრიდან საჭიროებს კიდევ უფრო მეტ ძალისხმევასა და მუშაობას, რადგან მათ ჯეროვან განხორციელებაზეა დამოკიდებული ეფექტური თვითმმართველობა. თუ უფრო გულწრფელნი ვიქნებით უნდა ვაღიაროთ რომ ჯერ კიდევ ვერ ვახერხებთ საკითხების დეტალურ განხილვას და გადაწყვეტილებების ამგვარად მიღებას. თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხი მეტწილად დამოკიდებულია თითოეული ჩვენგანის დამოკიდებულებებზე და საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრებაზე. მისასალმებელი იქნება თუ ჩვენს მიერ მისაღები გადაწყვეტილებებისას ვიხელმძღვანელებთ არა რაიმე ზეგავლენით არამედ რაციონალური და პროფესიონალური მიდგომით. მნიშვნელოვანია გაიზარდოს თითოეული ჩვენგანის დამოუკიდებლობის ხარისხი გადაწყვეტილებების მიღებისას. საჭიროა მეტი მუშაობა მიღებული გადაწყვეტილებების კონტროლისას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან არათანაბარი დამოკიდებულება სხვადასხვა დეპუტატების მიერ დასმული საკითხებისადმი, რაც სხვადასხვა სოფლებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

მნიშვნელოვანია დავინახოთ ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჩვენს საქმიანობას ახლავს, ეს აუცილებელი წინაპირობაა იმისა, რომ გამოვასწოროთ არსებული ხარვეზები. არ შეიძლება არ შევეხოთ რეგლამენტის დაცვის საკითხს სხდომების მიმდინარეობისას. საკითხების გარშემო მიმდინარე დებატების დროს ხშირად ჭარბობს ემოციები, რაც ცდება ჯანსაღი პოლემიკის ჩარჩოებს. ვფიქრობთ საკმარისი დრო გავიდა იმისათვის, რომ შევძლოთ სწორი დასკვნების გამოტანა და ჩვენს საქმიანობას მივცეთ აკადემიური სახე.

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის საკითხთა კომისიისაგან ჯერ კიდევ დასარეგულირებელია საკრებულოს რეგლამენტის დაცვის კონტროლი და რეგლამენტის მიმართ გამოთქმული შენიშვნების დამუშავება და განსახილველად წარმოდგენა. ფრაქციათა პროპორციულობის გადანაწილების საკითხი კომისიებში. ზოგადად კომისიებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს კომისიის თავმჯდომარეების საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით მიდგომა და კომისიის წევრების აქტიური მონაწილეობა კომისიის სხდომებში. თუმცა სფეროების გათვალისწინებით მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროა სპეციალური ცოდნა და ამ მიმართულებითაც გვჭირდება მუშაობა. რაც შეეხება აღმასრულებელ რგოლთან ურთიერთთანამშრომლობას, პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ თვითმმართველობის ორგანოები თანაბარწილად არიან პასუხისმგებელნი მუნიციპალიტეტის განვითარებაზე. ამ შემთხვევაში არ არსებობს ცალკე აღებული საკრებულო ან გამგეობა, მიუხედავად იმისა რომ ამ ორგანოებს მკვეთრად გამიჯნული უფლებამოსილებები აქვთ, არიან ერთი ჯაჭვის ორი რგოლი, რომლებიც ერთობლივად არიან პასუხისმგებელნი ამიმრჩეველთა წინაშე. საამაყოდ შეიძლება ითქვას რომ საკრებულოს მხრიდან აღმასრულებელი რგოლის საქმიანობის ხელის შეშლის არცერთი შემთხვევა არ ყოფილა, თუ საკითხები კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა და საჭიროებდა მითუმეტეს საჭიროებდა მყისიერ გადაწყვეტას. ასევე მაღალი იყო პასუხისმგებლობა საკრებულოს წევრების მხრიდან ასეთ საკითხებთან დაკავშირებით და ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ რიგგარეშე სხდომებში. სწორედ ასეთი ურთიერთთანამშრომლობის შედეგია ბევრი წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტში განხორციელდა. ჩვენ, საკანონმდებლო ორგანომ, მოვამზადეთ ანგარიში მოსახლეობისათვის და ველოდებით რომ ასეთივე ანგარიშით უახლოეს ხანში მოსახლეობის წინაშე წარსდგება აღმასრულებელი ორგანო (თანამდებობის პირები), ფრაქციები და საკრებულოს წევრები.

ის საკითხები რომლებიც საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთნება შეუძლებელია გასული 1 წლის განმავლობაში სრულად გადაგვეწყვიტა. საკმაოდ რთული ამოცანაა მაგრამ არა მიუღწევადი, მაგალითისთვის თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება, ალბათ საკუთარი შესაძლებლობებით ვერ გავწვდებით. მომავალი წლიდან ვგეგმავთ იმ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი ფინანსური და ინტელექტუალური შესაძლებლობები. აქვე დავძენ, რომ საკრებულომ განიხილა და მოიწონა აღმასრულებელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის განვითარების 3 წლიანი სამოქმედო გეგმა რომელიც ასახულია იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის 2015-2017 წლის სამოქმედო გეგმაში და ძირითადად მოიცავს მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას.

საკადრო საკითხებთან დაკავშირებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს საკრებულოს გადაწყვეტილებით შექმნილ საკონკურსო საატესტაციო კომისიასიის საქმიანობა თუ იქნება უფრო ღია და გამჭვირვალე, თუ შეძლებს ინფორმაციის დროულ გასაჯაროება და ასევე ანგარიშვალდებულად ჩათვლის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიმართ, მით მაღალი იქნება სანდოობა კომისიის მიმართ და დავრწმუნდებით რომ ის მიზანი და ამოცანა, რომელისთვისაც კომისია შეიქმნა არის განხორციელებული. ასევე აღსანიშნავია ადგილობრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხი, როგორიცაა ადგილობრივი ტყის რესურსის მართვის წეების დადგენა, რომლის განხორციელებაც ამჟამად არ ხერხდება, რადგანაც ის ტყის ფონდი რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებობს არის სახელმწიფო საკუთრება და სწორედ ამ თემაზე მიმდინარეობს კონსულტაციები ცენტრალურ ხელისუფლებასთან, ამ კონსულტაციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი არის ის რომ ამ საკითხის დარეგულირებით თვითმმართველობას შეძლოს ადგილობრივებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრა, როგორიცაა სამასალე ხე-ტყით სარგებლობა. ასევე აღსანიშნავია საფინანსო-საბიუჯეტო სფეროში უმნიშვნელოვანეს ფინანსურ დოკუმენტზე, ბიუჯეტზე ჩვენს მიერ გაწეული მუშაობა, რაც ალბათ არ არის საკმარისი (მიუხედავად მაღალი პასუხისმგებლობით მიდგომისა), რადგანაც ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა და მართვა ნიშნავს რომ თვითმმართველობა თავის დასახულ მიზანს აღწევს და ეფექტურად ახორციელებს საქმიანობას. ბიუჯეტის შედგენა და მართვა ნიშნავს შეზღუდული რესურსების განაწილებას ადგილობრივ დონეზე მდგარი პრობლემების გადასაჭრელად. ბიუჯეტზე კონტროლი ეს საკრებულოს ყველაზე მძლავრი ინსტრუმენტია, რომლის ჯეროვანი განხორციელებისათვის სპეციალური ცოდნა დაგვეხმარებოდა უფრო ეფექტური მართვის განხორციელებაში. წლევანდელი ბიუჯეტის მომზადების პროცესში საკრებულოს ჩართულობა იყო დაბალი და ეს გამონვეული იყო გარკვეული ობიექტური მიზეზით და ვიმედოვნებთ მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადებაში მონაწილეობას მივიღებთ უფრო აქტიურად. იცით რომ საკრებულო საკრებულო, არასამთავრობო ორგანიზაცია „რეგიონის განვითარების ცენტრის“ ხელშეწყობით მუშაობს მოსახლეობის აზრის შესწავლაზე, რათა მოხდეს საზოგადოების მხრიდან დასმული საკითხების ასახვა პრიორიტეტების დოკუმენტში. მნიშვნელოვანია ზუსტად ვიცოდეთ საზოგადოების საჭიროებები რათა სწორად დავგეგმოთ მომავალი წლის ბიუჯეტი. რაც შეეხება ჩვენს მიერ დამტკიცებულ სოციალურ პროგრამებს, ნამდვილად ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნებისმიერი ადამიანისთვის რომელიმე კომპონენტში მაინც. წინნა წლებთან შედარებით ეს პროგრამები კიდევ უფრო ბევრი კომპონენტი მოიცვა, თუმცა ეფექტურობის თვალსაზრისით გარკვეული საკითხები კიდევ დასამუშავებელია. თვითმმართველობის უფლებამოსილებებიდან კიდევ ბევრი საკითხია რომლებზც ბევრი მუშაობაა საჭირო (როგორიცაა გარემოს დაცვის, ტურიზმის, დასაქმების, შშმ პირთა ინტეგრირების, ახალგაზრდული მიმართულების, გენდერული თანასწორობის, ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის კუთხით). არის გარკვეული ნინ გადადგმული ნაბიჯები, რაც ძირითადად ინფრასტრუქტურას ეხება, როგორიცაა სპორტის, კულტურული, საგზაო ინფრასტრუქტურა. თუმცა მსგავსი ტიპის სერვისების მიწოდებას ვერ ვახერხებთ ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობისათვის რაც საკრებულოს წევრების აქტიურობაზე ბევრადაა დამოკიდებული. გაფართოვდა და გაუმჯობესდა სკოლამდელი აღზდის, კეთილმოწყობისა და კომუნალური სერვისის მიწოდება, ჯანდაცვის საკითხები და სხვა.

რაც შეეხება ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს, მოქალაქეების თვითმმართველობაში ჩართულობას, რომელიც თვითმმართველობის ძირითადი არსია, დასანანია რომ მოსახლეობის მხრიდან აქტიურობა ინტერესი დაბალია. ამას რათქმაუნდა აქვს თავისი ობიექტური მიზეზი და ამ საკითხის წამონევას და მოსახლეობის გააქტიურებას ჩვენი მხრიდან ჭირდება გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. მიუხედავად იმისა რომ ინიციატივამ, შეგვქმნა საზოგადებრივი დარბაზი, საკრებულოს წევრებს შორის ვერ ჰპოვა მხარდაჭერა, საკრებულო მაქსიმალურად ცდილობს იყოს მოსახლეობასთან დაახლოვებული, იცავს ღიაობისა და საჯაროობის პრინციპებს. ინტენსიურად ხდება საკრებულოს თანამდებობის პირებისა და წევრების მიერ მოქალაქეების მიღება, ამომრჩევლებთან შეხვედრა, მათი ინფორმირება. ჩვენ კარგად გვესმის რაოდენ მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის ყველა ასპექტში საზოგადოების ჩართულობა. თვითმმართველობის რეფორმა რომლის საწყის ეტაპზე ჩვენ ვიმყოფებით, ისახავს კიდევ უფრო მყარ და მკაფიო რეგულაციების შემოღებას მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ჩვენი დღევანდელი ანგარიშიც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ამის ხელშეწყობისთვის. ველოდებით საზოგადოების მხრიდან დაინტერესებასა და შეფასებებს. გვექნება მოსახლეობასთან შეხვედრები. გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიწედებასთა ერთად მოვისენთ მათ მიერ გამოთქმულ შენიშვნებს, მოვაწყობთ დისკუსიებს. ყოველივე ზემოთაღნიშნული ხელს შეუწყობს ჩვენს საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების გამოსწორებას.

საკრებულოს თავმჯდომარე, ინგა მაღრაძე

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ.: 595 51 98 12